... Ve bir baba diğer bir babayı iyi anlamıştır. İskender bunları duyunca gözleri yaşla dolar ve hemencecik kabul eder Gürcü'nün teklifini. Ertesi gün, ölümden kurtulan genç her şeyi öğrendiğinde İskender'e ağlayarak sorar: "Babasının kendisi böyle bir şey istese bile neden sen hayır demedin, neden istediğini yaptın, neden?" İskender açıkça itiraf eder:

“Çünkü ben de bir babayım. Bir gün baba olunca sen de anlarsın bunu. Senin yolun Konya'ya gitmez evlat! Baban gibi iyi bir yiğit olacaksın, onun canı sana feda olsun...” der ve Gorgasali'ye ait haç ve silahı oğluna uzatır (Gotua, 1997:77).

3. SONUÇ

Dünyanın üzerindeki her yerde gerek Gürcistan gerekse Türkiye veya İran, bu gibi isimsiz kahramanlarla doludur ve tarihleri boyunca hep var olmuştur. Bu tür insanlar, hayattan ve tarih sahnesinden sessizce uzaklaşırlar. Gorgasali ve onun gibi sayısız karakter tam da bu tür insanlardandır.

Gürcistan'da hala Büyük Mouravi'nin (Giorgi Saakadze) adı yaşatılmaktadır. Birçok insan onun yaptıklarını olumlu değerlendirmektedir. Kimine göre o; olumsuz, kötü bir karakterdir. Büyük bir Gürcü'nün de dediği gibi: “Eminim ki öldüğümde insanlar bana çamur atacaklar ancak gün gelir ki bir başkaları yine o çamurdan adımı aklayacaktır.” Bu dünyada her şey değişmektedir. Değişmeyen tek şey hakikatin kendisidir. En büyük hakikat ise Giorgi Saakadze'nin kalkanında yazan şu sözlerdir: “Vatanı için kalbi atan biri, ne mutlu kimsedir!”. Neden dünyada en büyük şey hakikattir? Çünkü nasıl ki Tanrı tektir, vatan da tek ve değişmeyendir bu dünyada. Ve işte o “tek”e hizmet etmek bir insan için en büyük lütuf ve görevdir.

KAYNAKÇA

- ÇIKVANAİA, T. (2017). *Kahraman - Giorgi Saakadze – Kahraman mı Yoksa İki Yüzlü Bir Hain mi?!* ჩიქვანაია, თამაზ, გორგი სააკაძე - გმირი, მოღალატე თუ ორსახა იანუსი?!
- ÇKHEİDZE, R. (1992). *Çiftbaşlı Kırbaç*. “Gürcistan” Gazetesi, N 43. ჩხეიძე, რ. , ორმოლტიანი მათრახი, გაზ. „საქართველო“, , N 43.
- GAMSAKHURDİA, K. (2000). *Büyükustanın Sağeli*. Tiflis. გამსახურდია, კონსტანტინე, დიდოსტატის მარჯვენა, თბ.
- GOTUA, L. (1997). *Hikâyeler, Yolsuz Kervan*. Tiflis. გოთუა, ლევან, მოთხრობები, უგზო ქარავანი, თბილისი.
- ĞVİNCİLİA, C. (1989). *Giorgi Saakadze'nin Kişiliği*. Tiflis. ღვინჯილია, ჯანსუღ, გორგი სააკაძის პიროვნება, თბილისი.
- MAKHATADZE, N. (1999). *Eski Gürcü Yazınına Göre Giorgi Saakadze'nin Fenomenleri*. Edebi Araştırmalar. N 20. მახათაძე, ნ. , გორგი სააკაძის ფენომენი ძველი ქართული მწერლობის მიხედვით, „ლიტერატურული მივანი“, N 20.
- NATROŞVILI, T. (1988). *Sene Bir ve Bin*. 100s. ნატროშვილი, თ. წელი ერთი და ათასი, გ. 100-0-
- ŞUBİTİDZE, V (2008). *Tüm Zamanların En Büyük 100 Gürcüsü*. Tiflis. შუბითიძე, ვაჟა, ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი, თბ.
- URL 1 <https://burusi.wordpress.com/2010/03/11/levan-gotua> E.T. : 01.01.2020
- URL 2 <https://www.goodreads.com/book/show/giorgi-saakadze> E.T. : 01.01.2020

გორგი სააკაძის სახე ლევან გოთუას მოთხრობაში უგზო ქარავანი

1. შესავალი

1.1. ლევან გოთუა (1905 – 1973), ლევან გოთუას ბიოგრაფია და შემოქმედება

ცნობილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა დაიბადა 1905 წლის 10 მარტს.

მამა ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და პედაგოგი იყო, გაზეთის რედაქტორი. მან შეაყვარა პატარა ლევანს საქართველო. მამა და შვილი ხშირად მოგზაურობდნენ ერთად,

ლევანი თავისი თვალთ ხედავდა საქართველოს ლამაზ ბუნებას, მამა კი ისტორიულ ამბებს უყვებოდა. ამით ბავშვის გონება მდიდრდებოდა და სამშობლოს სიყვარულს სწავლობდა.



სურათი 1: ლევან გოთუა. წყარო: URL 1

მწერლის დედაც განათლებული ქალი იყო, მან შეასწავლა შვილს ქართული ანბანი, შეაჩვია წიგნების კითხვას.

ლევან გოთუა ვერ ურიგდებოდა რუსეთის ბატონობას საქართველოში, სულ ოცნებობდა საქართველოს დამოუკიდებლობაზე, რის გამოც თავისი ცხოვრების 66 წლიდან 22 წელი სამშობლოდან შორს, უკიდურეს ჩრდილოეთში, საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრობაში გაატარა.

1918 წელს საქართველოში რუსეთის მეთერთმეტე არმია შემოვიდა. ლევანი ძმებთან ერთად მათ წინააღმდეგ საომრად წავიდა. ამის გამო მისი ოჯახი არასაიმედოდ ჩათვალეს, ჩამოართვეს ქონება, მათთან შეასახლეს უცნობი ადამიანი და დაავალეს ოჯახის წევრების მეთვალყურეობა.

1021 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა, დაიწყო სტუდენტური გამოსვლები დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, ლევანი და მისი ძმები ძალიან აქტიურობდნენ. შეიმუშავეს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების გეგმა, მაგრამ შეთქმულება მოღალატემ გასცა, რის გამოც დააპატიმრეს და დახვრიტეს შეთქმულების მონაწილეებიც და ბევრი სრულიად უდანაშაულო ადამიანიც.

გავიდა დრო. საქართველოში რუსეთი გაბატონდა, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ყველაზე მეტი საშიშროება ინტელიგენციისგან მოდიოდა, ამიტომ განათლებული ადამიანების წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა, ასე ამბობდნენ: „საქართველოში განათლებული ადამიანები, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, პროცენტულად მეტია და უნდა გავათანაბროთ“. გაჩნდა დასჯის ახალი მეთოდი - დახვრეტა საქმის გამოუძიებლად ან უკეთეს შემთხვევაში „სამშობლოს მტრების“ გადასახლება ჩრდილოეთში.

1924 წელს ლევან გოთუას სახლი გაჩხრიკეს და ანტისაბჭოთა ხასიათის წერილები უპოვეს, მერე სტუდენტთა ორგანიზაციის თავმჯდომარეობაც დააბრალეს და სამი

წლით გადაასახლეს სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ბნელ, ნესტიან, წყლით სავსე სარდაფში ცხოვრობდა მკვლელებთან და ბანდიტებთან ერთად.

ამ პერიოდში იჯდა ციხეში ლევანის მამაც. როგორც ცნობილია, ლევანის მამა ორჯერ გააღვიძეს ღამით და დასახვრეტად გაიყვანეს ლევანის მაგივრად, მაგრამ ორივეჯერ რაღაც შემთხვევამ შეუშალათ ხელი. „მე მომკალით მის მაგივრად, შვილს ნუ მომიკლავთ, ვერავინ გაიგებს, გვარი ერთი გვაქვსო“ - ყვიროდა მამა.

გათავისუფლების შემდეგ ლევან გოთუა ქალაქ ვლადიკავკასში დასახლდა და მუშაობდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ერთი საინტერესო ხუმრობაც მოუგონებია: თურმე, საუბრის დროს, როცა ვინმეს რუსული სიტყვა წამოსცდებოდა, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი ზეპირად უნდა ესწავლა. ასე ხუმრობით ყველას ასწავლა რუსთაველის პოემა.

ლევანმა საზღვარგარეთ გაქცევაც გადაწყვიტა, გამცილებელიც იპოვა, მაგრამ სწორედ იმ ადამიანმა გასცა და ისევ სამი წლით დააპატიმრეს.

სამი წლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა და სწორედ მაშინ დაწერა თავისი პირველი ნაწარმოები „ჩადირული სოფელი“.

სიუჟეტი ასეთია: იწყება დიდი წყალსაცავის მშენებლობა, მაგრამ ამისათვის წყალში უნდა ჩაიძიროს ერთი სოფელი, რომლის ცენტრშიც ეკლესია დგას.

სოფელი თავიდან წინააღმდეგია სახლ-კარის მიტოვების, მაგრამ მალე (სხვადასხვა მეთოდებით) ყველა დაითანხმეს, მარტო მოხუცმა მღვდელმა არ მიატოვა ტაძარი და მასთან ერთად ჩაიძირა წყალში.

ამის შემდეგ ლევან გოთუამ აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო და სულ მალე დაწერა „ერეკლე მეფე“, „დავით აღმაშენებელი“.

ლევან გოთუას მაინც არ ენდობოდა ხელისუფლება, ჯაშუშები უკან დაჰყვებოდნენ, მის სახლსაც ჩხრეკდნენ და ეს ყველაფერი ახალი დაპატიმრებით დასრულდა.

1946 წელს მას სამშობლოს დაღატი დააბრალეს და ახლა ვორკუტაში გადაასახლეს 10 წლით. იქ ლევანმა მაღლი ძაბვის ქვესადგურში დაიწყო მუშაობა და რადგან წერის უფლებას არ აძლევდნენ, ასეთი რამე მოიფიქრა: შევიდოდა სატრანსფორმატორო სადგურში, ჩაწვებოდა ტრანსფორმატორის გვერდით და სანთლის შუქზე წერდა. მასთან მიახლოვებას ვერავინ ბედავდა, რადგან სადგურის შესასვლელთან კარებზე ლევანმა თავის ქალა დახატა და მიაწერა „სასიკვდილო“. ამ პერიოდში დაწერა მან „სამსახეობა რაინდისა“ და დაიწყო მუშაობა „გმირთა ვარამზე“ - მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთ გამორჩეულ რომანზე. ფურცლებსაც იქვე ინახავდა, მაგრამ როცა მუშაობა დაასრულა და ფურცლების გარეთ გამოტანის დრო დადგა, ამისათვის კიდევ ერთი რამის მოფიქრება დასჭირდა:

ვორკუტიდან მშენებლობისთვის ხის მორებს გზავნიდნენ. ლევანმა და მისმა მეგობრებმა ეს მორები ამოჭრეს და შიგნით წვრილად დახვეული ფურცლები დამალეს. ამ მორებს ქალაქში ერთი ქართველი კაცი ყიდულობდა, ფურცლებს იღებდა და წიგნად კრავდა.

ლევან გოთუა ხშირად ამბობდა: „ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ძლიერად მიყვარს სამშობლო“. მთელი ცხოვრება ასე იცხოვრა, თავისი ქვეყნის სიყვარულში.

1960 წელს 55 წლის მწერალი საქართველოში დაბრუნდა, ქალაქ მცხეთასთან ახლოს, დაბა არმაზში დასახლდა, ოჯახი შექმნა და სამწერლო - ლიტერატურული ცხოვრება გააგრძელა.

ლევან გოთუა გარდაიცვალა 1973 წელს, დაკრძალულია მცხეთაში, სამთავროს მონასტრის ეზოში.

2. გიორგი სააკაძის პიროვნება

ნებისმიერი ქვეყნის ისტორიაში არსებობს ისეთი მოვლენები, რომლებიც სიღრმისეულ და დეტალურ განხილვას, დაკვირვებას არ საჭიროებს, ასეთი მოვლენები თითქოს ზედაპირზე დევს და განსხვავებული აზრი მათ შესახებ თითქოს არც არსებობს, მაგრამ ხშირად ვხვდებით ისეთ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებზეც ბევრი თქმულა და დაწერილა, მეცნიერებს განსხვავებული თვალსაზრისით შეუფასებიათ, საკითხი გადაუწყვეტიათ, საბოლოოდ ეს ფაქტი ახსნილად ჩაუთვლიათ, მაგრამ მომდევნო წლების მანძილზე ამ ფაქტების შესახებ კამათი და განსხვავებული აზრის გამოთქმა არ შეწყვეტილა, რამდენადაც საკითხის იმგვარი გადაწყვეტა, როგორც არსებობდა, ბევრისთვის მიუღებელი გამხდარა და ისევ გაგრძელებულა კვლევა. რატომ ხდება ასე? იქნებ იმიტომ, რომ ისტორიაში ეს მოვლენა, მისი მნიშვნელობა ბოლომდე სათანადოდ ვერ შეფასებულა და აღძრული კითხვებისთვის ამომწურავი პასუხი არ ყოფილა გაცემული.

უპირველესად ეს ეხება ისტორიულ მოვლენებს, რომლებზეც პასუხის გაცემა, ინფორმაციის სიმცირის გამო, შეუძლებელი გამხდარა, ეს შეიძლება ეხებოდეს განსაკუთრებულ პიროვნებებს, რომელთა მოღვაწეობა იმდენად აუხსნელი და გაუგებარი იყო, რომ საუკუნეების მანძილზე ბევრი მტერ - მოყვარე გაიჩინეს, რამდენადაც ობიექტურად ვერ მოხერხდა მათი ცხოვრება-მოღვაწეობის გააზრება, მათ მიერ ჩადენილ ქმედებათა სწორი შეფასება, მიზეზებში გარკვევა. (მახათაძე., 1999)

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის მე-17 საუკუნის ცნობილი სარდალი და საქართველოს „დიდ მოურავად“ წოდებული გიორგი სააკაძე, რომლის მოღვაწეობა იმდენად იდუმალი და ამოუცნობია, რომ დღემდე ვერ გაცა ამომწურავი პასუხი კითხვას: ვინ იყო გიორგი სააკაძე? პატრიოტი თუ მოღალატე? მშობელი ქვეყნის გამყიდველი თუ სახალხო გმირი? ბოროტმოქმედი თუ სხვა ბოროტმოქმედთა მსხვერპლი? (რ. ჩხეიძე., თ. ნატროშვილი., ჯ. ღვინჯილია., ვ. შუბითიძე...)



სურათი 2: გიორგი სააკაძე. წყარო: URL 2

ქართველ მწერალთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ სააკაძე უდიდესი მამულიშვილი იყო, გულწრფელი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, მისი ერთგული მსახური, ღირსეული პიროვნება, რომელსაც ისეთი შორსმიმავალი იდეები და მიზნები ჰქონდა, რომ ვერც მისი თანამედროვეები ჩასწვდნენ „მამულიშვილური გულის ფეთქვას“, ვერც მომავალმა თაობამ გაიაზრა სააკაძის მოღვაწეობის მასშტაბები, აქედან გამომდინარე, ის დარჩა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უბედურ ადამიანად, თავისი არშემდგარი ოცნებებით, მიზნებით, თავისი ღირსებითა და ნაკლით. მოკლედ რომ ვთქვათ, სააკაძე ტრაგიკული ბედის მქონე გმირია, რაც, სავარაუდოდ, ავი ბედისწერის ბრალია.

გიორგი სააკაძე დაახლოებით 1580 წელს დაბადებულა, მას ჰყავდა სამი ძმა და ერთი და. ჩვეულებრივი აზნაური მოგვიანებით დიდ ფეოდალად ქცეულა. ჰქონდა მდიდრული სასახლე, ციხე - სიმაგრე, კარის ეკლესია, რომელიც თვითონ ააშენა. მალე ცოლად შეირთო დიდი თავადის - ნუგზარ ერისთავის ასული და მასთან რვა შვილი შეეძინა. ამ სიმდიდრის გამო სააკაძეს ბევრი მტერი გაუჩნდა, რადგან ახალი გამდიდრებული იყო, ძველი თავადური გვარი არ ჰქონია, გავლენა და ძალაუფლება მემკვიდრეობით არ გადასცემია, ნამდვილი მეომარი იყო, ჭკვიანი, მამაცი, ნიჭიერი, მეფის ერთგული, ქვეყნის სამსახურისთვის მზადმყოფი. ამ თვისებების გამო ბევრი თავადი შურით და გარკვეული შიშითაც უყურებდა მის დაწინაურებას, სძულდათ, თავიანთ სწორად არ მიაჩნდათ.

პირველად მისი სახელი, როგორც გაბედული მებრძოლისა, 1609 წელს გახდა ცნობილი, როცა საქართველოში ოსმალეთის ჯარი შემოვიდა. მათ ახალციხის აღება, ლუარსაბ მეფის ტყვედ ჩაგდება და საქართველოს აოხრება ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ სააკაძის სამხედრო ნიჭმა და გონიერებამ ქვეყანა საფრთხისგან იხსნა, მისი მეთაურობით ქართველებმა დაამარცხეს ოსმალები.

ქართველ თავადებს კი ყველაფერი შურდათ სააკაძის, ნიჭიერება, სამხედრო საქმის კარგი ცოდნა, მეფის კეთილგანწყობა მის მიმართ, სულ მალე მეფე ლუარსაბმა სააკაძის და შეირთო ცოლად და ამან კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მის მიმართ სიძულვილი. თავადები მეფეს სთხოვდნენ დედოფალს გასცილებოდა, დიდი მოურავი კი სიკვდილით დაესაჯა, ათას სისულელეს იგონებდნენ, ტყუილებსაც არ ერიდებოდნენ. ნიჭიერი და პატრიოტი ადამიანისადმი შურით დაბრმავებულებმა ადამიანის სახე დაკარგეს. მრავალი წლის შემდეგ დიდი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია ასეთ რამეს დაწერს: „ოდითგანვე ასე მოგვდგამს ქართველებს, მუდამ ჩვენს სიმცირეს მივსტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა, მაგრამ დიდი კაცი თუ გამოგვერია, მას ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“, (გამსახურდია, 239) თითქოს სააკაძეზეა ნათქვამი, მაგრამ ასეთი შურის მსხვერპლი ადამიანი მრავლად ჰყავდა ქართველობას.

ლუარსაბ მეფე ახალგაზრდა იყო, გამოუცდელი, დაიჯერა თავადების ნათქვამი, დედოფალი სასახლიდან გაუშვა და სააკაძის მოკვლაც გადაწყვიტა, მაგრამ მან ყველაფერი შეიტყო და ცოლ-შვილთან ერთად ირანში გაიქცა. მისი სახლ-კარი გადაწვეს, ეშინოდათ, რომ ირანიდან დაბრუნებული მოღალატე თავადებზე შურს იძიებდა.

თანამემამულეებისგან სასიკვდილოდ განწირული სააკაძე იძულებული გახდა შაჰის სამსახურში ჩამდგარიყო. მას თავისი გეგმა ჰქონდა, ძალიან უნდოდა სახელი მოეხვეჭა, შაჰ-აბასი თავის სამხედრო შესაძლებლობებში დაერწმუნებინა, შემდეგ საქართველოში სპარსელთა ჯარით შემოსულიყო და მოღალატე თავადებზე შური ეძია, ამ გეგმის განსახორციელებლად რჯულიც კი გამოიცვალა.

სააკადის ოცნება 1612 წელს ასრულდა. ირანმა ოსმალეთთან ზავი დადო და საქართველოში ომისთვის მოემზადა. მასთან ერთად იყო დიდი მოურავი, რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ შაჰ-აბასი მის სიტყვებს მოუსმენდა, ქართველ ხალხს არ დახოცავდა, მხოლოდ თავადებს დასჯიდა და ამით სააკადის ოცნებას აასრულებდა, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. შაჰმა 80 000 ქართველი ტყვედ ჩაიგდო და ირანში გაგზავნა, საქართველოს მეფე ლუარსაბი ირანში ჩაიყვანა, გამაჰმადიანება მოსთხოვა და როცა ლუარსაბმა უარი განაცხადა, მაშინ მეფე გულაბის ციხეში ჩასვეს, მოგვიანებით კი იქვე გაგულეს (დაახრჩვეს). სააკაძე ბევრ რამეს ურჩევდა შაჰს, მაგრამ ის ისე იქცეოდა, როგორც თვითონ სურდა. 1616 – 1617 წლებში სამჯერ ილაშქრა საქართველოში, მოსახლეობის მესამედი ომში გაწყვიტა, ნახევარი კი ირანში გადაასახლა. ისტორიული წყაროების ცნობით, ნახევარი მილიონი ქართველი დაიღუპა. პატარა ქვეყნისთვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო.

საბოლოოდ სააკაძე მიხვდა თავის შეცდომას. მიხვდა, რომ უცხო ქვეყნის მსახური თავის სამშობლოს არაფერში გამოადგება. ისევ თავის ძველ მტრებს, ქართველ თავადებს, შეურიგდა, მაგრამ შაჰის თვალშიც დაკარგა ნდობა, ამიტომ როცა საქართველოში წამოსვლა გადაწყვიტა, შაჰმა ირანში მიველად დაიტოვა მისი შვილი - პაატა. შაჰი დარწმუნებული იყო, რომ სააკაძე, რომელმაც შაჰის სასახლეში დატოვა თავისი შვილი, ირანის წინააღმდეგ არ იმოქმედებდა, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა სააკადის პატრიოტიზმი, მან შეკრიბა ჯარი და შაჰის 30 000 კაციანი ლაშქარი დაამარცხა, რასაც მოჰყვა სააკადის ოჯახის ტრაგედია, გაბრაზებულმა შაჰმა სიკვდილით დასაჯა პაატა და მისი მოკვეთილი თავი მამას გამოუგზავნა.

სპარსელთა დამარცხების შემდეგ ქართველები ისევ გვერდში დაუდგნენ შვილის გამწირავ დიდ მოურავს, მაგრამ არც მტრები იყვნენ უსაქმოდ, კახეთის მეფე - თეიმურაზი გადაამტერეს მას და სააკაძე იძულებული გახდა ახლა ოსმალეთისთვის შეეფარებინა თავი. მან სულთანს თავისი სამსახური შესთავაზა და ყველაფერი იმავე სცენარით განმეორდა. გიორგი სააკაძემ ისევ იფიქრა, რომ ოსმალეთის სულთანს თუ თავდადებით ემსახურებოდა, ის საქართველოს დასახმარებლად ჯარს გამოგზავნიდა.

ისევ შეეშალა! ისევ მწარედ მოტყუვდა!

არა, სააკაძე სულთანმა თბილად მიიღო, პატივისცემა გამოხატა, ჯარის უფროსად დანიშნა, ერთი ვილაიეთიც უბოძა, მაგრამ არ მიენდო, ნათლად გამოჩნდა, რომ სულთანი საქართველოს გამარჯვებისათვის ბრძოლას არ აპირებდა.

მიხვდა სააკაძე, რომ კიდევ შეცდა, მიხვდა, რომ არც ირანი და არც ოსმალეთი საქართველოს გაძლიერებას არ დაუშვებდნენ, ამიტომ ისევ საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა. სულთანს სააკადის განზრახვა რომ შეატყობინეს, მაშინვე შეიპყრო ორმოცდაათ ერთგულ მებრძოლთან ერთად და სიკვდილით დასაჯა 1629 წელს ალექოში, ჰალაბის ციხეში.

სააკადის ასული ანა-ჰანუმი იმ დროს ქალაქ ერზრუმში ცხოვრობდა, იქვე გარდაიცვალა მამის სიკვდილიდან 20 წლის შემდეგ.

ერზრუმში მურათ ფაშას მეჩეთის სასაფლაოსთან კუთხეში ყიბლის მიმართულებით ახლაც დგას „თურბე“ (მაჯოღლეუმი). ოთხივე მხრიდან ღია თურბე ოთხ სვეტს ეყრდნობა, იქვე სამი აკლდამა მოჩანს, წარწერები წაშლილია, მაგრამ ჩრდილოეთ მხარეს მარჯვნივ პატარა მარმარილოს დაფაა, რომელზეც ვკითხულობთ:

„ეჰ, წავიდა მოურავ - ხანის იშვიათი სილამაზის ქალიშვილი...

როცა მან სამოთხის მიწა დაამშვენა, ფერიები აუმხედრდნენ მას,

მერე კი მსახურებად დაუდგნენ...

ადრე გავიდა ამ ქვეყნიდან

რა დასანანია ნაზი და ჰაეროვანი ანა-ჰანუმის გარდაცვალება.

ჰიჯრით 1059 წელი (1649) (ჩიქვანაია., 2017)

მართლაც უცნაურია, თითქოს გონიერი, ბრძენი კაცი, კარგი სარდალი, თავისი ხმლით ასეთი სახელის მომხვეჭი... როგორ შეეძლო ბრძედ მინდობოდა ან ირანს ან ოსმალეთს? ხომ უნდა სცოდნოდა, რომ საქართველოს გაძლიერება არ შედიოდა მათ გეგმებში, რატომ ჩათვალა, რომ თავისი ერთგული სამსახურით საქართველოს შეაყვარებდა და ამ პატარა ქვეყნის თანაგრძნობის სურვილით აანთებდა მათ? რატომ უნდა დახმარებოდნენ? სააკაძის გამო? ასეთი არგუმენტი ხომ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს?

ისტორიკოსთა ერთი ნაწილი მას ქვეყნის მოღალატედ მიიჩნევს, მეორე ნაწილი - მხსნელად და ეროვნულ გმირად, მაგრამ არის ასეთი შეხედულებაც, რომ ის არც გმირია და არც მოღალატე, უბრალოდ ტრაგიკული ბედის მქონე ადამიანია, უბრალოდ ძალიან უბედური კაცი. ბევრი სასახელო საქმე ჩაუდენია, ბევრი ცუდიც გაუკეთებია, დიდი შეცდომებიც დაუშვია, ძალიან დიდი, გამოუსწორებელი. ბევრ ომში უბრძოლია, ხმლით, მკერდით, სისხლით დაუცავს ქვეყანა, შვილიც გაუწირავს, თავიც სამშობლოსთვის გადაუდია, მაგრამ, ამავე დროს, შაჰ აბასის ჯარი შემოუყვანია საქართველოში, ლუარსაბ მეფის სიკვდილშიც დიდი წვლილი შეუტანია, ძმათამკვლელ ომშიც უბრძოლია სოფელ ბაზალეთთან.

ასეთ წინააღმდეგობრივ ადამიანს მართლაც ვერ შევაფასებთ ცალსახად დადებითად ან ცალსახად უარყოფითად.

2.1. ლევან გოტუას მოთხრობა “უგზო ქარავანი”

მოხუცი გორგასალი ჰალაბის ციხეს გარს უვლიდა. მან იცოდა, რომ მისი შვილი, ქართველი მეომრების მცირე ჯგუფთან ერთად, ამ ციხეში იყო დატყვევებული. მოხუცი დარწმუნებული იყო, რომ მათთვის ამ ციხის კარები არასოდეს გაიღებოდა, მათ სიკვდილით დასჯიდნენ. ვინ იყო მათი დამხმარე და მფარველი? არავინ!

დიდ ვეზირ ხოსროვ ფაშას თავიდანვე არ მოეწონა გიორგი სააკაძე. ცოტა ხნის წინ მისი ჯარი ირანელებთან ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ამაზე სულ არ ფიქრობდა, მისთვის უფრო მძიმე გურჯი სააკაძის წარმატება იყო, რომელიც სულთანმა კაპრამან კონიის ბეგლარ-ბეგად (ჯარის სარდალი) დანიშნა, ამიტომ ხოსროვ ფაშამ ფარული მზადება დაიწყო. ვილაიეთის თავადები მის წინააღმდეგ აამხედრა, მოულოდნელ თავდასხმასა და სააკაძის მოკვლაზეც ფიქრობდა. ეს ყველაფერი აცნობეს ქართველ სარდალს, მანაც სასწრაფოდ შეკრიბა ასიოდე ქართველი მეომარი და ჯერ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსკენ წავიდა, მერე ჰალაბის მხარეს, უნდოდა, რომ მტრისთვის გზა აეზნა, ბოლოს მალათიისკენ აპირებდა წასვლას. მალათიის ვილაიეთიდან მიდიოდა შორი გზა საქართველოსკენ.

საკაძე გზაში ხმას არ იღებდა. არავინ იცოდა, რაზე ფიქრობდა, რას გრძნობდა, რის გაკეთებას აპირებდა. მასთან ერთად ყოველთვის იყო გორგასალი, რომელსაც ამქვეყნად სამი სალოცავი ჰყავდა: მისი სამშობლოს მფარველი ღვთისმშობელი მარიამი, გიორგი სააკაძე და თავისი შვილი ბეჟანი. ახლაც შვილთან ერთად იდგა სააკაძის გვერდით.

ახლა ყველა ჰალაბის ციხეშია, გორგასალი კი გარეთ, გულმოკლული გარს უვლის ციხეს. მეორე დღეს ტყვეებისთვის თავი უნდა მოეკვეთათ. გორგასალმა კი არ იცოდა, რა გაეკეთებინა, როგორ დახმარებოდა.

უცებ ნიავმა უცნაური ხმა მოიტანა, გორგასალი ახლოს მივიდა ციხესთან და სიმღერის ხმა გაიგონა. ისინი იყვნენ, ტყვეები მღეროდნენ. მოხუცმა შვილის ხმაც იცნო, ზარივით წკრიალებდა.

ბეჟანი ერთადერთი დარჩა მამას, სხვები ომებში დაიღუპნენ. კარგი ბიჭი იყო ბეჟანი, მამაცი მეომარი, ზრდილობიანი, სიმპათიური. თან სულ ახალგაზრდა, 19 წლის და ეს ბიჭი ახლა ციხეში იყო და სიკვდილს ელოდა, მისი უბედური მამა კი ციხის გარეთ და სიკვდილს ნატრობდა. მას ყველაფერი ახსოვდა, რაც მოხდა.

მუჰარრემის თვე იყო, როცა კონიიდან წამოვიდნენ. ძალიან ცხელოდა, ცხენები და აქლემები გზაზე რჩებოდნენ, სიცხისგან და უწყლობით იხოცებოდნენ. სააკაძე ჩქარობდა, დასვენების ნებას არ აძლევდა საკუთარ თავს.

- მე და შენ ყველაზე მოხუცები ვართ, გორგასალ, - უთხრა ერთხელ, - ყველანი ახალგაზრდები არიან, ბავშვები, ოოჰ, ახლა საქართველო მაჩვენა და მერე... - სათქმელი ვეღარ დაასრულა.

- ვნახავთ, ნუ დარდობთ, ბატონო, - გაამხნევა გორგასალმა, მაგრამ თავადაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა. ისინი უცხო მიწაზე იყვნენ, ძალიან შორს სამშობლოდან, რომელსაც ვერ აფასებ, სანამ ახლოს ხარ, მაგრამ გაუსაძლისად გენატრება, როცა შორდები, - ბატონო, სწორად მივდივართ? ამ უდაბნოში გზა ხომ არ აგვებნა?

- მე დიდი ხანია ამებნა გზა, თორემ უცხო ქვეყანაში რა მინდოდა? რისთვის მოვედი აქ? - უპასუხა გიორგიმ, ჭაღარა წვერზე ხელი ჩამოისვა და ცხენს მათრახი გადაჰკრა.

დაღამდა, მეომრებმა დაისვენეს, კარვები გაშალეს. გიორგი ჩუმად იჯდა, მეორე დილას კი, ძალიან ადრე გორგასალი სოფელში გაგზავნა ახალი აქლემებისა და ცხენების საყიდლად. თავად შუადღისას მივიდოდა იმ სოფელში, გორგასალმა ბრძანება შეასრულა, მერე ცხვარი დაკლა, საჭმელი გააკეთა და საღამომდე ამაოდ ელოდა ქართველებს, არ მოვიდნენ. შეშინებული თავად წავიდა ბანაკში, მაგრამ იქაც ვერავინ ნახა, ცხენებისა და აქლემების კვალი ჰალაბისკენ მიდიოდა, გორგასალი ყველაფერს მიხვდა და თვითონაც იმ კვალს გაჰყვა.

და აი, ახლა ჰალაბის ციხის გარშემო დადის, თავისი შვილის სიმღერას უსმენს და არ იცის, რა ქნას.

- რა უცნაური ხალხია გურჯები, მუშაობის დროს მღერიან, ბრძოლის დროს მღერიან, ქორწილში მღერიან, კვდებიან და ახლაც მღერიან, სულ მღერიან - თქვა ვიღაცამ.

- მეც მათთან მივალ, მეც მათთან მოვკვდები, გარეთ რაღა დამრჩენია? - თქვა გორგასალმა და კარზე დააკაკუნა. თურქ ასკერს მათხოვარი ეგონა, ჯერ დაუყვირა, მერე მათრახი გადაჰკრა და გორგასალმა უცებ დაინახა, რომ თურქს მარჯვენა ხელზე სამი თითი არ ჰქონდა, შუათითი, არათითი და ნეკი. იარა იცნო, მისი ნიშანი იყო, იმ ასკერის ხმაც კი იცნო. მაშინვე ჰალაბის ბაზარში გაიქცა, ერთი დიდი, ტკბილი საზამთრო იყიდა, ისევ ჰალაბის ციხესთან დაბრუნდა, უფრო გაბედულად დააკაკუნა და თურქ

ასკერს თურქულად უთხრა: - ეს საზამთრო გაგახსენებს მე ვინ ვარ, ისკანდერ თურქო.

ისკანდერმა ყურადღებით შეხედა და მაშინვე იცნო: - ალლაჰს გეფიცები, გორგასალი ხარ, მე კარგი ვაჟკაცები არ მავიწყდება. ტყვეებთან მოხვედი? - ჰკითხა ქართულად. მიუახლოვდა, გადაეხვია და ლაპარაკი ისევ ქართულად გააგრძელა: - ისკანდერი ყოველთვის იცნობს კაცურ კაცს, მაგრამ შენს ნახვას არ ველოდი, გორგასალ, ტყუილს არ გეტყვი და არც გამხარებია აქ, ამ ციხესთან შენი დანახვა. ვიცი, რომ ამათთან მოხვედი, მაგრამ ტყვეებს ახლა ალაჰიც ვეღარ უშველის. შენ რაღას მოდიოდი? მაგ მხრებზე თავი გაქვს თუ საზამთრო? კარგი, ახლა ჩაიხანაში წადი, იქ დამელოდე, მეც მალე მოვალ და მითხარი, რა გინდა, მე რა შემიძლია გავაკეთო. მე ისკანდერი მქვია და მადლის გადახდა მადლითვე ვიცი, - თქვა ასკერმა და ციხეში შევიდა.

20 წლის წინ საქართველოში თურქეთის ჯარი შემოვიდა, ისკანდერი და გორგასალი ბრძოლაში შეხვდნენ ერთმანეთს. ისკანდერმა გორგასალი მკლავში დაჭრა, გორგასალმა კი ხმლით სამი თითი წააცალა (მოაჭრა). ისკანდერი მიწაზე დავარდა.

- წყალი, - ჩურჩულით თქვა ისკანდერმა.

- რა, შენს ქვეყანაში წყალი არ იყო? აქ ამიტომ მოხვედი?

- წყალი როგორ არ იყო, მაგრამ ვინ გამაჩერა იქ? ფიქრობ, რომ ჩემი სურვილით მოვედი შენს ქვეყანაში? შენ ყველგან შენი ნებით დადიხარ, გურჯო?

გორგასალს წყალი არ ჰქონდა, მაგრამ იქვე ახლოს საზამთროს ბაღი დაინახა, ერთი საზამთრო მოიტანა და აჭამა. ბრძოლის შემდეგ სახლში წაიყვანა და იარა რომ მოურჩა, ერთ ქართველ ტყვეში გაცვალა და ახლა 20 წლის შემდეგ ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ახლა უკვე თურქეთის მიწაზე.

- ხვალ თავებს მოკვეთენ და კონიაში გაგზავნიან აქლემებით, აქლემებს მე წავიყვან, - თქვა ისკანდერმა, - ვიცი, რომ იმ ტყვეებიდან ერთ-ერთი შენი შვილია, ძალიან გგავს, ისიც ვიცი, რომ შვილის სიცოცხლეს მთხოვ, მაგრამ კონიაში 50 მოჭრილ თავს ელოდებიან, შენი შვილის ნაცვლად ჩემს თავს დადებენ.

- რატომ შენს თავს? ორმოცდამეათე ჩემი თავი იქნება, შვილისთვის ღირს, მაგ ბავშვის მეტი ამ დუნიაზე არაფერი დამრჩა. შენც მამა ხარ და იცი, რომ მამა შვილისთვის ყველაფერს გააკეთებს.

თურქი ხმას არ იღებდა, შუბლზე ოფლი უბრწყინავდა, თვალეში კი ცრემლი. უცებ სიმღერა გაიგონეს, ისევ ისმოდა ბეჟანის ზარივით სუფთა ხმა: - ოოჰ, გურჯი შაითან, - ამოიკვნესა ისკანდერმა, - კარგი, ხვალ დილით მოდი, არ დააგვიანო.

ის დამე გორგასალმა ლოცვაში გაატარა და დილით ციხის კართან დახვდა ისკანდერს.

... შუადღისას ციხიდან ტომრებგადაკიდებული აქლემების ქარავანი გამოვიდა და კონიისკენ წავიდა. იქვე გორგასალის 19 წლის შვილი იდგა და თავის მეგობრებს ეძებდა. არ იცოდა, რა მოხდა. უცებ მას ორთითა თურქი მიუახლოვდა და მამასავით უთხრა: - შენ მამაშენივით კარგი ვაჟკაცი იქნები, მისი მსხვერპლი ალალია შენზე და გორგასალის ჯვარი და ხმაღალი ხანჯალი გაუწოდა. (გოთუა., 1975., 77)

ბიჭი უცებ ყველაფერს მიხვდა: - მამა სად არის? ჩემი მეგობრები სად არიან? ამ ტომრებში რა არის? მათი თავები? ჩემი თავი აკლია, ჩემი.

- არაფერი არ აკლია, წადი, შვილო, შენი გზა კონიისკენ არ მიდის.

- ჩემს ნაცვლად ვისი თავია? ვინ არის ორმოცდამეათე, - ბიჭმა ტომრებს ზეწარი გადააცალა და უცებ მამის თვალები დაინახა. ისევ ორთითას მიუბრუნდა: - თუ თვითონ ასე გადაწყვიტა, შენ რატომ უარი არ უთხარი? რატომ დაუჯერე, რატომ?

- იმიტომ რომ მეც მამა ვარ, შენც გაიგებ, როცა მამა გახდები, - თქვა თურქმა და ქარავანს გაჰყვა.

დაჩოქილი ბიჭი დიდხანს ტიროდა, მერე ადგა მამის ჯვარი და ხმალ-ხანჯალი გულში ჩაიკრა და საქართველოსკენ წავიდა.

2.2. მოთხრობა „უგზო ქარავანი“-ს განხილვა

ეს მოთხრობა გიორგი სააკაძის სიცოცხლის ბოლო დღეებს ასახავს. მას ყოველთვის მძიმე და არეული ცხოვრება ჰქონდა. არ იყო დიდი თავადი, ძალიან მდიდარი, არ გამოირჩეოდა არისტოკრატიული წარმოშობით. ერთადერთი, რაც ჭარბად ჰქონდა, ეს იყო სამშობლოს სიყვარული და მისი დაცვის სურვილი. მთელი ცხოვრება ხმლით ხელში იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. მოღალატეებმა იძულებული გახადეს საქართველო დაეტოვებინა, მაგრამ სადაც წავიდა, მისი ნიჭის დამფასებელი ვერსად ვერ ნახა.

ოსმალეთის სულთანის კარზე დიდვეზირმა ხოსროვ ფაშამ თავიდანვე აითვალწუნა, გამუდმებით ეჭვიანობდა. „ცოტა ხნის წინ ხოსროვ ფაშა ირანელებთან ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ ამაზე მძიმე მისთვის კაპრამან კონიის ბეგლარ-ბეგის (ჯარის სარდალი), გურჯი სააკაძის წარმატება იყო“ - ნათქვამია მოთხრობაში.

სააკაძემ იცოდა ხოსროვ ფაშას მუდმივი მტრობის შესახებ, მაგრამ ბრძოლის ძალა და სურვილი აღარ ჰქონდა, ცხოვრებასთან ჭიდილმა დაღალა: „მეც მეგონა, რომ უნაგირზე ვიჯექი, მაგრამ თურმე მთელი ცხოვრება სხვას ვუჭერდი უზანგს“, ამიტომაც გადაწყვიტა საქართველოში დაბრუნება: - „თუ სიკვდილი მიწერია, ჩემს მიწაზე მაინც მოკვდებიო“ - ფიქრობდა, თავისი ერთგული მეომრების ჯგუფთან ერთად ჯერ ალექსოში გეგმავდა ჩასვლას, მერე იქიდან მალათიაში აპირებდა გადასვლას, საიდანაც მიდიოდა შორი გზა საქართველოსკენ.

მაგრამ ეს აღარ იყო უშიშარი, მამაცი მეომარი. სამშობლოს იძულებით მოშორებული ადამიანი თითქოს უფრო მალე ბერდება, იფიტება, მითიური ბუმბერაზი სამსონივით კარგავს მაცოცხლებელ ძალას და მისი სასიცოცხლო ენერჯიაც ქრება. ახლა ასეთი იყო სააკაძე, აჩრდილი ძველი სარდლისა, ავ ბედისწერას დამონებული და დამორჩილებული. მარტო გული კი არა, უკვე სულიც რომ სტკიოდა საქართველოს ნატვრით: „სააკაძის აბჯარში ძველებურად უდრეკი მეომარი კი არ იჯდა, არამედ გათელილი და გზადახშული ტყვე ამ აბჯარისა“ - წერს ავტორი. ახლა უფრო ნათლად გრძნობს დიდი მოურავი სამშობლოს ფასს „რომელსაც ვერ აფასებ, სანამ ახლოს ხარ და რომელსაც მით უფრო ესწრაფვი, რაც უფრო მიუწვდომელი ხდება იგი...“ მით უმეტეს, თუ მწარედ ხარ დასჯილი ქვეყნის სიყვარულის გამო.

ეს სიყვარული დამტკიცებულაც ჰქონდა მას, როცა შაჰ - აბასს მძევლად დაუტოვა თავისი უმცროსი ვაჟი იმ პირობით, რომ სპარსელთა წინააღმდეგ არასოდეს იბრძოლებდა, მაგრამ როცა საჭირო გახდა, სიტყვა გატეხა, ბრძოლა დაიწყო და მალევე მიიღო შაჰის „საჩუქარი“ - ძვირფასი ყუთი მისი ვაჟის მოკვეთილი თავით. ეს ნაბიჯი ცხადყოფს, რომ მამამ შეგნებულად შესწირა შვილი სამშობლოს, ასეთი მამა შეუძლებელია მოღალატე იყოს, ასე პატრიოტები იქცევიან.

საკაკაძის ერთგულ თანამებრძოლთა შორის იყო მოხუცი გორგასალიც, რომლისთვისაც სააკაძე მისაბაძი და პატივსაცემი იყო ბევრი დადებითი თვისების გამო: „გორგასალს ამქვეყნად სამი სალოცავი ჰყავდა: ღვთისმშობელი მარიამი, გიორგი სააკაძე და თავისი ერთადერთი შვილი“, რომელიც ახლაც ჰალაბის ციხეში დატყვევებული სააკაძის გვერდით იყო და სასჯელს ელოდა. ტყვეები სასჯელს ელოდნენ და მღეროდნენ, „საკვირველი ხალხია გურჯები: მუშაობენ-მღერიან, იბრძვიან-მღერიან, ქორწილი აქვთ-მღერიან, კვდებიან და მაინც მღერიან“-ამბობდნენ თურქები. მათ არ იცოდნენ, რომ ქართველი თავისი სიმღერით ბრძოლის დროს სიკვდილს აშინებდა, მუშაობის დროს მეგობრობას სთავაზობდა, ქორწილის დროს სიხარულს უნაწილებდა და სიკვდილის დროს თავს იმხნევებდა, რომ არ შეშინებოდა და თავისი შიში სხვისთვის არ ეჩვენებინა. ასეთი იყო ქართველთა ბუნება, სხვისთვის ძნელად გასაგები და შესაცნობი.

მოთხრობისთვის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია იმის გასაგებად თუ როგორ უყვარს და ებრალება ავტორს ეს გზააბნეული და უბედური კაცი, რომლისთვისაც ერთი ციდა ადგილიც არ გამოიძებნა მზის ქვეშ, რომელიც ხშირად უშვებდა შეცდომებს, რადგან გვერდით არ ჰყავდა კეთილი რჩევის მიმცემი ერთგული ადამიანი, მაგრამ მწერლის მიზანი მართლ სააკაძის პიროვნების დახატვა არ ყოფილა. ლევან გოთუა გვიხატავს განსხვავებული ეროვნების, განსხვავებული რწმენის მქონე ადამიანებს და გვეუბნება, რომ პოლიტიკის გარეშე სამყარო გაცილებით უფრო კეთილი, მიმტევებელი და მოსიყვარულე იქნებოდა, ცხოვრება კი უფრო მშვიდი და წყნარი.

ქართველი გორგასალი და თურქი ისქანდერი ომმა შეახვედრა ერთმანეთს. ორივე ვაჟკაცურად იბრძოდა, ერთი სხვა ქვეყნის დასაპყრობად მოვიდა, მეორე თავისი ქვეყნის დამცველად დახვდა, გორგასალმა ნიშანი დაადო თურქს - სამი თითი წააცალა ხმლით, ისქანდერმაც „სამახსოვროდ“ გრძელი ჭრილობა დაუტოვა მკლავზე, მაგრამ როცა ბრძოლის ცეცხლი ჩაქრა, დაჭრილებმა ერთმანეთზე იზრუნეს, გორგასალმა წყლის მონატრულ თურქს საზამთრო მიუტანა და საკუთარი ხელით აჭამა. აქ გამოჩნდა უბრალო ადამიანების კეთილი, ალალი ბუნება: „შენს ქვეყანაში წყალი არ იყო? ჩვენთან წყლის დასაღვად მოდიოდი?“ - ეკითხება ქართველი. „წყალი როგორ არ იყო, მაგრამ ვინ გამაჩერა იქ? გგონია, ჩემი სურვილით მოვედი? შენ ყველგან შენი ნებით დადიხარ, გურჯო?“ - პასუხობს თურქი.

სწორედ აქაა უბედურების სათავე, პირუტყვივით ომში გარეკილთგან ვინ სად ამთავრებს თავის გამაღლებულ ცხოვრებას, არავინ რომ არ უწყის.

საკაკაძის ერთგულებისთვის ჰალაბის ციხის ტყვეებს თავის მოკვეთა რომ არ ასცდებათ, ეს კარგად იცის გორგასალმა, ამიტომ ისქანდერს, როგორც მამას, შვილის თავის სანაცვლოდ თავის თავს სთავაზობს: „ორმოცდაათი თავი უნდა ჩაიტანო კონიაში, ორმოცდამათე ჩემი თავი იქნება, შვილისთვის ღირს, მაგ ბავშვის მეტი ამ დუნიაზე აღარავინ დამრჩენია“.

... და ერთმა მამამ ადვილად გაუგო მეორე მამას. მართლია, ისქანდერის თვალეში ცრემლი ბრწყინავდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ გორგასალი მართალი იყო, ამიტომ მაშინვე დათანხმდა და მეორე დღეს, როცა გადარჩენილმა ახალგაზდამ ყველაფერი შეიტყო და ატირებულმა ჰკითხა: „თუ თვითონ ასე გადაწყვიტა, შენ უარი რატომ არ უთხარი? რატომ დაუჯერე, რატომ?“, ისქანდერმა დაუფარავად უპასუხა: „იმიტომ, რომ მეც მამა ვარ, შენც გაიგებ, როცა მამა გახდები. შენი გზა კონიისკენ არ მიდის, შვილო... მამაშენივით კარგი ვაჟკაცი იქნები, მისი მსხვერპლი ალალია შენზე...“ და გორგასალის კუთვნილი ჯვარი და ხმალ-ხანჯალი გაუწოდა.

3. დასკვნა

ბევრი ასეთი უსახელო გმირი ჰყოლია საქართველოსაც, თურქეთსაც, ირანსაც და სხვა ქვეყნებსაც, ადამიანები, რომლებიც უხმაუროდ მიდიოდნენ ცხოვრებიდანაც და ისტორიის ასპარეზიდანაც. ასეთი იყო გორგასალი და მისი მსგავსი ვინ იცის რამდენი გმირი.

საქართველოში დღესაც ცოცხალია დიდი მოურავის სახელი. მის ღვაწლს ბევრი დადებითად აფასებს, ბევრიც უარყოფითად. როგორც ერთმა დიდმა ქართველმა თქვა: „რომ მოვკვდები, ვიცი, ხალხი ნაგავს მომაყრის, მაგრამ მოვა დრო და იმ ნაგავს ისევ ხალხი გადაწმენდს“. მართლაც ასეა, ყველაფერი იცვლება ამ სამყაროში. უცვლელი ერთადერთი ჭეშმარიტებაა მხოლოდ. ის, რაც გიორგი სააკაძის საბრძოლო ფარზეა ამოკვეთილი: „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული“. ესაა ყველაზე დიდი ჭეშმარიტება, რადგან: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“ და იმ „ერთის“ გულწრფელი მსახურებაა სწორედ ადამიანის ადამიანური ამქვეყნიური ვალი.